

GREEN
CLIMATE
FUND



გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტრო



სსიპ გარემოსდაცვითი
ინფორმაციისა და
განათლების ცენტრი



Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development
and Cooperation SDC



შვედეთი
Sverige



გზამკვლევი

სკოლის დირექტორებისთვის



საინფორმაციო პუბლიკაცია მომზადებულია საქართველოს მთავრობის, კლიმატის მწვანე ფონდის (GCF), შვედეთის და შვეიცარიის მთავრობების თანადაფინანსებით და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის - „კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკების შემცირება საქართველოში“ ფარგლებში. პროექტის მიზანია უზრუნველყოს კლიმატთან დაკავშირებული რისკების შემცირება, პრევენცია და მზადყოფნა.

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ კატასტროფის რისკის შემცირება შესაძლებელია საზოგადოების ცნობიერების ამაღლებით, საზოგადოებისა და ადგილობრივი ინსტიტუციების მედეგობის გაძლიერებით და მონყვლადობის შემცირებით ბავშვების, ქალებისა და ახალგაზრდების მიმართ განსაკუთრებული აქცენტით.

ამ მიზნით, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ მომზადდა გზამკვლევი სკოლის დირექტორებისათვის, რომლის მიზანია კატასტროფების რისკის შემცირებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლება. გზამკვლევში წარმოდგენილია საგანგებო მართვის გეგმის მომზადების ძირითადი მოთხოვნები და გეგმის ნიმუში, რაც დაწესებულების ხელმძღვანელს დაეხმარება შეიმუშაოს სკოლაზე მორგებული გეგმა სასკოლო საზოგადოების მონაწილეობით.

საინფორმაციო პუბლიკაციის მომზადების პროცესში ჩართული პირები:

თეონა ჯულუხაძე - პუბლიკაციის ავტორი; პროექტის ექსპერტი

გიორგი ქინქლაძე - დიზაინერი

ყველას აქვს უფლება, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი და საჯარო სივრცით. ყველას აქვს უფლება, დროულად მიიღოს სრული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ. ყველას აქვს უფლება, ზრუნავდეს გარემოს დაცვაზე, გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადანყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლება უზრუნველყოფილია კანონით.

საქართველოს კონსტიტუცია
მუხლი 29. გარემოს დაცვის უფლება



მომზადებულია პროექტის „კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირება საქართველოში“ ფარგლებში

ტერმინთა განმარტება

კატასტროფა - იმ მასშტაბების სტიქიური მოვლენა დროსა და სივრცეში, რომელიც თემის ან საზოგადოების ფუნქციონირების მნიშვნელოვან მოშლას იწვევს, გულისხმობს დიდი მოცულობით ადამიანურ, მატერიალურ, ეკონომიკურ თუ ეკოლოგიურ დანაკარგებს, რომელიც აღემატება დაზარალებული თემის ან საზოგადოების საკუთარი რესურსებით გამკლავების უნარსა და შესაძლებლობას.

კატასტროფის რისკის შემცირება - კონცეპტუალური და პრაქტიკული ელემენტების ერთობლიობა, რომელიც მიმართულია კატასტროფის უარყოფითი შედეგების გაანალიზებაზე, თავიდან აცილება (პრევენცია) და შერბილებაზე, რაც მოიცავს მოსახლეობის დაუცველობის შემცირებას, მიწისა და ბუნებრივი რესურსების გონივრულ გამოყენებას, კატასტროფის დადგომის შემთხვევაში მზადყოფნას და ა.შ.

საფრთხე - სახიფათო მოვლენა, ნივთიერება, ადამიანის ქმედება ან ვითარება, რასაც შეუძლია გამოიწვიოს სიკვდილი, სხეულის დაზიანება, დაავადება ან ჯანმრთელობის გაუარესება, ქონებრივი ზარალი, საარსებო წყაროს დაკარგვა და მომსახურების სფეროს მოშლა, სოციალურ-ეკონომიკური სისტემების რღვევა და გარემოს დაზიანება.

რისკი - საფრთხიდან საგანგებო სიტუაციის განვითარების შესაძლებლობა, რომელიც განისაზღვრება საგანგებო სიტუაციის წყაროს (საფრთხის) განვითარების ალბათობითა (ან სიხშირით) და შესაძლო საგანგებო სიტუაციის ზონაში მოწყვლადობით.

მოწყვლადობა - მოწყვლადობა განისაზღვრება როგორც თემის, სისტემის ან ქონების ისეთი მახასიათებლები და გარემოებები, რომლებიც განაპირობებენ მათ დაუცველობას საფრთხის საზიანო ზემოქმედებისგან. მოწყვლადობის მრავალი ასპექტი არსებობს, რომლებიც განპირობებულია მატერიალური, სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური ფაქტორებით.

პრევენცია - პრევენცია საფრთხეებისა და მათთან დაკავშირებული კატასტროფების უარყოფითი შედეგების სრული აცილებაა. ტერმინი „პრევენცია“ გამოხატავს კონცეფციასა და განზრახვას, რაც წინასწარ გატარებული ღონისძიებებით პოტენციური უარყოფითი გავლენის თავიდან აცილებას გულისხმობს.

მიტიგაცია (შერბილება) - საფრთხეებისა და მათთან დაკავშირებული კატასტროფების უარყოფითი ზემოქმედების შემცირების ან შეზღუდვის ღონისძიებებს მოიცავს. ხშირ შემთხვევაში, ვერ ხერხდება საფრთხეების უარყოფითი შედეგების თავიდან სრულად აცილება, თუმცა სხვადასხვა ქმედების მეშვეობით შესაძლოა მნიშვნელოვნად შემცირდეს მათი მასშტაბები და სიმძაფრე.

მზაობა - სამთავრობო სტრუქტურების, რეაგირებისა და აღდგენის საკითხებში სპეციალიზებული ორგანიზაციების, თემებისა და ცალკეული პირების მიერ ცოდნის შექმნა და შესაძლებლობების განვითარება, რათა ეფექტიანად განხორციელდეს მოსალოდნელი, მოახლოებული ან უკვე გამოვლენილი სახიფათო მოვლენების ან გარემოებების წინასწარ განსაზღვრა, მათზე რეაგირება და შემდგომი აღდგენა.

რეაგირება - კატასტროფის დროს ან როგორც კი კატასტროფა მოხდება გადაუდებელი დახმარების გაწევა და სახელმწიფოს მხარდაჭერა ადამიანების სიცოცხლის გადარჩენის, მათი ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის შემცირების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და დაზარალებული მოსახლეობისათვის პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით.

აღდგენა - კატასტროფის შედეგად დაზარალებული საზოგადოებისთვის დამხმარე საშუალებების და ობიექტების, საარსებო საშუალებების, საცხოვრებელი პირობების აღდგენა და საჭიროებისამებრ გაუმჯობესება, რაც ასევე მოიცავს კატასტროფის რისკის ფაქტორების შესამცირებელ ძალისხმევას.

კლიმატის ცვლილება

დღეს მსოფლიოში მიმდინარეობს გლობალიზაციის პროცესი, ამ რეალობაში გლობალური პრობლემების როლი და გავლენა ამა თუ იმ ქვეყნის განვითარებაზე არსებითია და უმრავლეს შემთხვევაში არაპოზიტიური კონტექსტით აისახება. სწორედ ასეთი გლობალური პრობლემაა კლიმატის ცვლილება, რომელიც შედეგად იწვევს სხვადასხვა ბუნებრივი სტიქიური მოვლენების ჩამოყალიბებას და რიგ შემთხვევებში კატასტროფების განვითარებას, სწორედ კატასტროფები აისახება ნეგატიურად ქვეყნებისა და მათი მოსახლეობის სტაბილურ სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაზე.

კლიმატის ცვლილება თავისთავად ბუნებრივი პროცესია, თუმცა თითქმის 95%-იანი წილით ის გამოწვეულია ადამიანთა აქტივობით. ეს პროცესი, როგორც ახალი კონცეფტუალური გამოწვევა, დაფიქსირდა წინა საუკუნის შუა წლებში, როდესაც გამოიკვეთა მსოფლიო საშუალო წლიური ტემპერატურის არაჯეროვანი და არარელევანტური ზრდა. კლიმატის ცვლილების გარემოზე ზეგავლენის შედეგები გამოიხატება მყინვარების და ყინულის ფენის დნობაში, ოკეანის დონის აწევაში, დატბორვების, წყალდიდობების, ღვარცოფების, მეწყერების, ზვავების, ცუნამების, ასევე, ქარიშხლების გაძლიერებასა და გახშირებაში.

კლიმატის ცვლილების შედეგად იცვლება ბუნება და ეკოსისტემები, იზრდება ადამიანთა დაავადებების რისკი. ნიშანდობლივია, რომ „სათბურის ეფექტი“ გამოწვეული მავნე შედეგების ინტენსივობა ყოველწლიურად მატულობს, რაც კიდევ უფრო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანს ხდის პრობლემის მოგვარების აუცილებლობას.

კლიმატის ცვლილება წარმოადგენს დროში და დედამიწის სხვადასხვა რეგიონში ამინდის საშუალო ცვალებადობას, რასაც თან ახლავს ტემპერატურის, ქარისა და ნალექების საშუალო რაოდენობის მაჩვენებლების ცვლილება.

კლიმატური ცვლილებების განმაპირობებელი ერთ-ერთი ფაქტორი ატმოსფეროში სასათბურე აირების კონცენტრაციის მკვეთრი მატებაა. ყველაზე მძლავრი სასათბურე აირებია: **წყლის ორთქლი, ნახშირორჟანი, მეთანი და ოზონი**. ზემოთ ჩამოთვლილი აირები იჭერენ მზის ენერჯიას და ინარჩუნებენ სითბოს დედამიწის ზედაპირზე. რაც მეტია სასათბურე აირები ატმოსფეროში, მით უფრო დიდხანს ინარჩუნებს დედამიწა სითბოს, თუმცა აღნიშნული აირების კონცენტრაციის მკვეთრი მატება გახდა დედამიწაზე გლობალური დატბობისა და კლიმატური ცვლილებების მიზეზი.

ცხადია, არც საქართველოა გამონაკლისი და კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული არასასურველი შედეგები მტკივნეულად აისახება ქვეყანაზე. საქართველო, სპეციფიური და რთული ფიზიკურ-გეოგრაფიული მოცემულობის გამო, შეიძლება ითქვას, რომ პოლიკლიმატური ქვეყანაა. ამიტომ, კლიმატური ცვლილება ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორც საქართველოა, უფრო მტკივნეულად მიმდინარეობს, ვიდრე დიდ ქვეყნებში, სადაც იმდენად მცირეა კლიმატური ტიპების ნაირსახეობა, რომ მათ მონოკლიმატური ქვეყნებიც შეიძლება ეწოდოს. 2050 წლისთვის, კლიმატის ცვლილებიდან გამომდინარე, საქართველოში ტემპერატურის საშუალო მატება 0.9-1.9 გრადუსით არის ნავარაუდები, ხოლო 2100 წლისთვის ტემპერატურის მატებამ შესაძლებელია 5.5 გრადუსამდე კი მიაღწიოს. ასევე მოიმატებს სითბური ტალღების სიხშირე და რაოდენობა, შეიცვლება ნალექიანობის რეჟიმი, ინტენსიური გახდება გაუდაბნობა, რაც გამოიწვევს მიწის რესურსების მიღვევად რეჟიმში გადასვლას, აიწვევს ზღვის დონე, გახშირდება სხვადასხვა სტიქიური მოვლენები და მოიმატებს კატასტროფების რისკი და მასშტაბი.

გარემოს ეროვნული სააგენტოს მონაცემებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბოლო წლებში საქართველოში საგრძნობლად გაიზარდა სხვადასხვა კატასტროფის სიხშირე და გავრცელების გეოგრაფია.

1995-2009 წლებში, ერთად აღებული ყველა სახის კატასტროფის ეკონომიკური ზარალი შეადგენდა 1.3 მლრდ. აშშ დოლარზე მეტს. აღნიშნულ პერიოდში დიდი იყო დაზარალებულ ადამიანთა რიცხვი - 700 000, ხოლო დაღუპულთა რაოდენობა გახლდათ 1000.

კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის საქართველოს მეორე ეროვნული შეტყობინების თანახმად აღმოსავლეთ საქართველოში საგრძნობლად მოიმატებს გვალვების სიხშირე და ხანგრძლივობა, რაც წყალზე მოთხოვნის გაზრდის არსებითი წინაპირობაა. პარალელურად მოსალოდნელია დასავლეთ საქართველოში მდინარეების წყლის რესურსის კლება, განსაკუთრებით ე.წ. ტრანზიტულ მდინარეებზე, როგორცაა: მტკვარი, ალაზანი და ხრამი. ასე მაგალითად მტკვარში წყლის დონის კლება გამოიხატება 26-35 პროცენტით. აღსანიშნავია, რომ 2100 წლისთვის აღმოსავლეთ საქართველოში განსაკუთრებით გაიზრდება სასოფლო სამეურნეო მიწების ხელოვნური მორწყვის საჭიროება.

დანაკარგები მსოფლიოში იზრდება სხვადასხვა ფაქტორთა გამო, მათ შორისაა:

- კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ამინდის ექსტრემალური შემთხვევების რაოდენობის ზრდა;
- ბუნებრივ რესურსებზე მზარდი ზენოლა და მათი გადაჭარბებული ექსპლუატაცია;
- სასოფლო-სამეურნეო წარმოების არამდგრადი პრაქტიკა, რომელიც ზრდის რისკებს (მაგ. არამდგრადი მესაქონლეობა, ან ბიოსაწვავის წარმოება მინებზე, რომლებიც უწინ ტყეებს ეკავათ);
- მოსახლეობის რაოდენობის ზრდა და დაუგეგმავი ურბანიზაცია, რაც იწვევს საკვებზე, საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნილების ზრდას.

ამდენად აუცილებელია კლიმატის ცვლილების გარდაუვალი მოცემულობის მიმართ შეძლებისდაგვარად მოხდეს ადაპტირებული მატერიალური თუ არამატერიალური აქტივობების განხორციელება.

აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის განმარტებების მიხედვით თბილისის დეკლარაციის ჩანაწერი:

- გარემოსა და გარემოსდაცვითი გამოწვევების შესახებ ცოდნისა და ცნობიერების გაღრმავება;
- გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრის აუცილებელი უნარების განვითარება;
- გარემოს პრობლემების ირგვლივ ინფორმირებული მოქალაქის ჩამოყალიბება, პასუხისმგებელიანი ქმედებების განხორციელების მიზნით.

კატასტროფების სახეები

გეოფიზიკური სტიქიური მოვლენები - მიწისძვრა, ცუნამი, ვულკანური ამოფრქვევა, მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავი, ზვავი, ზედაპირის ჩამოშლა;


ჰიდროლოგიური სტიქიური მოვლენები - წყალდიდობა და უხვი ნალექის შედეგად გამოწვეული მენყრული პროცესები;

მეტეოროლოგიური სტიქიური მოვლენები - ძლიერი ქარი და წვიმა, ტროპიკული შტორმი, ექსტრემალური ტემპერატურები, სეტყვა, ნისლი;

კლიმატოლოგიური სტიქიური მოვლენები - გვალვა, გაუდაბნობა, ტყის ხანძრები, მყინვარული ტბის გარღვევა;

ბიოლოგიური სტიქიური მოვლენები - ეპიდემია/პანდემია, ცხოველთა მასობრივი ამოწყვეტა (მაგ. ტყის ხანძრების შედეგად), მწერებით დაინფიცირება და ა.შ;


კოსმოსური წარმოშობის კატასტროფები - კოსმოსური ამინდი, დიდი ზომის მეტეორიტების ჩამოვარდნა და ა.შ.



კატასტროფის მართვის კონცეფცია

კატასტროფის მართვის კონცეფცია წარმოადგენს სამთავრობო უწყებების მიერ გატარებული ღონისძიებების ერთობლიობას, რომლის მიზანია შესაძლო კატასტროფებით გამოწვეული სოციალური, ეკონომიკური და გარემოს ზიანის თავიდან აცილება ან შემცირება, ადამიანების უსაფრთხოების, სწრაფი რეაგირების და ეფექტური აღდგენითი სამუშაოების უზრუნველყოფა.

კატასტროფის მართვა შედგება ურთიერდაკავშირებული ე.წ. „ოთხი ფაზისგან“



პრევენცია - ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია შესაძლო კატასტროფის თავიდან აცილებისკენ ან კატასტროფის შედეგის შემცირებისკენ.

მზაობა - ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია რეაგირების შესაძლებლობების (რესურსების მართვა, ტრენინგები, წინასწარი დაგეგმვა და ა.შ.) გაძლიერებისკენ.

რეაგირება - ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს სწრაფ ქმედებას ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, ასევე გარემოს დაცვისათვის (სიცოცხლის, ჯანმრთელობის და აგრეთვე გარემოს დაცვისათვის).

აღდგენა - ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია ინფრასტრუქტურის, სოციალური და ეკონომიკური სისტემების რეაბილიტაციისა და რეკონსტრუქციისკენ. აღდგენის ფაზა შეიძლება შედგებოდეს მოკლევადიანი, საშუალო ან/და გრძელვადიანი პროცედურებისა და ღონისძიებებისგან.

კატასტროფის რისკის შემცირების გლობალური პოლიტიკური ჩარჩო



თანამედროვე ეპოქაში მსოფლიოში გააქტიურებულმა სტიქიურმა პროცესებმა და გარემოზე ადამიანის ზემოქმედებამ ეკოლოგიური წონასწორობის მოშლა გამოიწვია. შედეგად, უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში მსოფლიოში მნიშვნელოვნად გაზრდილია კატასტროფების სიხშირე და მისი თანმდევი ადამიანური და მატერიალური დანაკარგის მასშტაბი.

ბოლო საუკუნის განმავლობაში გარემოზე ადამიანის უკონტროლო ზემოქმედებამ ხელი შეუწყო კლიმატის გლობალურ ცვლილებას, რაც დედამიწაზე გახშირებული კატასტროფების ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს.

ამის პარალელურად, ქარბმა ურბანიზაციამ და დასახლებული პუნქტების სახიფათო ადგილებში მოწყობამ, აგრეთვე, განვითარებად ქვეყნებში შესაბამისი რეგულაციებისა და დაგეგმარების უგულებელყოფამ, რისკების შესახებ ცნობიერების დაბალმა დონემ, ექსტრემალურმა კლიმატურმა მოვლენებმა და ა.შ. ადამიანზე კატასტროფების გავლენის ზრდა განაპირობა.

დღეისთვის მსოფლიოს მოსახლეობა ძალზე მოწყვლადია კატასტროფების მიმართ. შესაბამისად, კატასტროფების ეფექტიანი პრევენცია მსოფლიო თანამეგობრობის ერთ-ერთ აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს.

1990–2000 წლები გაეროს მიერ აღიარებული იქნა კატასტროფების შემცირების ათწლეულად. 2000 წლის შემდეგ შემუშავდა კატასტროფების შემცირების საერთაშორისო სტრატეგია (UN-ISDR), სადაც მართვის ძირითად რგოლად ქვეყნების მთავრობები გვევლინება, ხოლო მანამდე არსებულ რეაბილიტაციისა და მზადყოფნის მიდგომებს შორის უპირატესობა ეძლევა კომპლექსურ მიდგომას. პრიორიტეტი ენიჭება რისკის შემცირებას, პრევენციულ ზომებს, საზოგადოების ინფორმირებულობას, ცნობიერებისა და პასუხისმგებლობის დონის ამაღლებას.

კატასტროფების შემცირების საერთაშორისო სტრატეგიის საფუძველზე, 2005 წელს, კობეში (ჰიოგო, იაპონია) გაიმართა გაეროს კატასტროფის რისკის შემცირების მსოფლიო კონფერენცია, სადაც მიღებულ იქნა „ჰიოგოს 2005–2015 სამოქმედო ჩარჩო-პროგრამა“ – რომელიც მიზნად ისახავდა ქვეყნებსა და თემებში კატასტროფების მიმართ მდგრადი პრაქტიკის დამკვიდრებას. 2015 წლის მარტში, „ჰიოგოს 2005–2015 სამოქმედო ჩარჩო-პროგრამის“ ვადის მიწურულს, სენდაიში (იაპონია) გამართულ გაეროს კატასტროფის რისკის შემცირების მესამე მსოფლიო კონფერენციაზე, წინამდებარე დოკუმენტის გაძლიერების მიზნით მიღებულ იქნა კატასტროფის რისკის შემცირების საერთაშორისო ინსტრუმენტი – „კატასტროფის რისკის შემცირების სენდაის სამოქმედო ჩარჩო-პროგრამა 2015-2030“. საქართველო ორივე ზემოაღნიშნული დოკუმენტის ხელმომწერი ქვეყანაა, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საქართველოს მთავრობის სწრაფვას, დაწეროს ქვეყანაში კატასტროფის რისკის შემცირების პრაქტიკა.

გაეროს მიერ 2015 წელს მიღებული გლობალური პოლიტიკური ჩარჩოები: „კატასტროფის რისკის შემცირების სენდაის სამოქმედო ჩარჩო-პროგრამა 2015-2030“ (მარტი, 2015 წ.), „მდგრადი განვითარების მიზნები“ (სექტემბერი, 2015 წ.) და „პარიზის შეთანხმება კლიმატის ცვლილების თაობაზე“ (დეკემბერი, 2015 წ.) ურთიერთდაკავშირებულია და მიმართულია კატასტროფის რისკის შემცირებისკენ, მდგრადი განვითარებისა და კლიმატის ცვლილებების შედეგების შემცირებისკენ.

კატასტროფის რისკის შემცირების სენდაის სამოქმედო ჩარჩო-პროგრამა 2015-2030

„კატასტროფის რისკის შემცირების სენდაის სამოქმედო ჩარჩო-პროგრამა 2015-2030“ ეხება მცირე და მსხვილმასშტაბიანი, ხშირი და იშვიათი, უეცარი და ნელი განვითარების მქონე კატასტროფების რისკის მართვის მექანიზმების შემუშავებას ყველა დონეზე (გლობალური, რეგიონული, ეროვნული და ადგილობრივი) და ყველა დარგში.

დოკუმენტში განსაზღვრულია შვიდი გლობალური მიზანი, რომელთა მიღწევაც აუცილებელია 2020-2030 წლებისთვის. ზემოხსენებულ მიზნებს წარმოადგენს:

1. 2020–2030 წლებისთვის (2005–2015 წლებთან შედარებით) ყოველ 100 000 მცხოვრებზე კატასტროფის შედეგად დაღუპულთა საშუალო რაოდენობის არსებითად შემცირება;
2. 2020–2030 წლებისთვის (2005–2015 წლებთან შედარებით) ყოველ 100 000 მცხოვრებზე კატასტროფის შედეგად დაზარალებულთა საშუალო რაოდენობის არსებითად შემცირება;
3. 2030 წლისთვის კატასტროფით გამოწვეული პირდაპირი ეკონომიკური დანაკარგების შემცირება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში;
4. 2030 წლისთვის კრიტიკული და სოციალური ინფრასტრუქტურისთვის (მათ შორის ჯანდაცვისა და საგანმანათლებლო ობიექტები) კატასტროფის შედეგად მიყენებული ზიანის არსებითად შემცირება, მათი მდგრადობის განვითარების გზით;
5. 2020 წლისთვის კატასტროფის რისკის შემცირების ეროვნული და ადგილობრივი სტრატეგიების მქონე ქვეყნების რაოდენობის არსებითად გაზრდა;
6. განვითარებად ქვეყნებთან საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება ადეკვატური და მდგრადი მხარდაჭერის მეშვეობით, რათა მოხდეს მათი ეროვნული ქმედებების სრულყოფა სენდაის ჩარჩოთი განსაზღვრული ვალდებულებების შესასრულებლად 2030 წლისთვის;

7. 2030 წლისთვის მოსახლეობისთვის სხვადასხვა საფრთხის ადრეული შეტყობინების სისტემების ხელმისაწვდომობის არსებითად გაზრდა და კატასტროფის რისკის შესახებ ინფორმაცი- აზე წვდომის გაუმჯობესება.

კატასტროფის რისკის შემცირებისთვის, სახელმწიფოთა მხრიდან საჭიროა სხვადასხვა დარგში სპეციალური ქმედებების განხორციელება ადგილობრივ, ეროვნულ, რეგიონულ და გლობალურ დონეებზე, შემდეგ ოთხ პრიორიტეტულ სფეროში:

პრიორიტეტი 1. კატასტროფის რისკის გააზრება

კატასტროფის რისკის მართვა უნდა ემყარებოდეს კატასტროფის რისკის გააზრებას მისი ყველა განზომილების – მოწყვლადობის, შესაძლებლობის, ადამიანებსა და ქონებაზე გავლენის, საფრთხის მახასიათებლების და გარემოს დაცვის გათვალისწინებით. აღნიშნული ცოდნა შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს კატასტროფის რისკის წინასწარი შეფასების, მისი თავიდან აცილების, შერბილების, მზადყოფნისა და რეაგირებისთვის.

პრიორიტეტი 2. კატასტროფის რისკის მართვის გაძლიერება კატასტროფის რისკის დაძლევის მიზნით

კატასტროფის რისკის კონტროლის გაძლიერება ეროვნულ, რეგიონულ და გლობალურ დონეებზე ძალზე მნიშვნელოვანია კატასტროფის თავიდან აცილების, შერბილების, მზადყოფნის, რეაგირების, მისგან მიყენებული ზიანის აღდგენისა და რეაბილიტაციისთვის. კატასტროფის რისკის კონტროლის განხორციელების პროცესი ხელს უწყობს შესაბამის სექტორებს და მონაწილეებს შორის თანამშრომლობას, პარტნიორობას და კოორდინაციას.

პრიორიტეტი 3. კატასტროფის რისკის შემცირებაში ინვესტირება მდგრადობის უზრუნველსაყოფად

სტრუქტურული და არასტრუქტურული ზომების მეშვეობით, კატასტროფის რისკის პრევენციასა და შემცირებაში სახელმწიფო და კერძო ინვესტიციების განხორციელება მნიშვნელოვანია ადამიანების, თემების, ქვეყნებისა და მათი ქონების ეკონომიკური, სოციალური, ჯანდაცვის და კულტურული მდგრადობის გასაძლიერებლად, ისევე, როგორც გარემოს გასაუმჯობესებლად. ასეთი ზომები, შესაძლოა იქცეს ინოვაციის, ზრდის და სამუშაო ადგილების შექმნის საშუალებად.

პრიორიტეტი 4. კატასტროფებზე ეფექტიანი რეაგირების, მზადყოფნის გაძლიერება და აღდგენის და რეაბილიტაციის პროცესებში „უკეთესად რეკონსტრუქციის“ მიდგომის გამოყენება

კატასტროფის რისკის ზრდა გულისხმობს, რომ საჭიროა კატასტროფებზე რეაგირებისთვის მზადყოფნის გაძლიერება და მოვლენათა წინასწარი შეფასებისთვის შესაბამისი ღონისძიებების გატარება. ამავდროულად, უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი საშუალებების არსებობა რეაგირებისა და აღდგენითი ღონისძიებების ყველა დონეზე ეფექტიანად გასატარებლად. „უკეთესად რეკონსტრუქციის“ პროცესისთვის მნიშვნელოვანია, რომ სამომავლო განვითარების ღონისძიებებში გათვალისწინებული იქნეს კატასტროფის რისკის შემცირების კომპონენტები. კრიტიკული მნიშვნელობა აქვს ამ კომპონენტების გათვალისწინებას რეაგირების, რეაბილიტაციის და აღდგენის ფაზებში.

კრიზისული სიტუაციების მართვის სისტემა საქართველოში



საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში ტერმინი „ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭო“ პირველად 1992 წლის 6 ნოემბერს მიღებულ კანონში „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ გაჩნდა. ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარეობდა სახელმწიფოს მეთაური, საბჭოს ძირითადი ამოცანა ქვეყნის თავდაცვის, უშიშროებისა და წესრიგის უზრუნველყოფა იყო.

1995-2018 წლებში მოქმედი კონსტიტუციით, პრეზიდენტის დაქვემდებარებაში არსებობდა ეროვნული უშიშროების საბჭო, რომლის ფუნქციებიც განსხვავებული იყო.

2013 წელს განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებების თანახმად, საპარლამენტო მმართველობის მოდელზე გადასვლის შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა მთავრობის აღმასრულებელი ფუნქციები და მისი როლი ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და უზრუნველყოფის სფეროში. აქედან გამომდინარე, 2014 წელს, უსაფრთხოების სექტორის კოორდინაციისთვის, შეიქმნა პრემიერ-მინისტრის სათათბირო ორგანო - სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო, რომელიც 2017 წლის დეკემბრამდე ფუნქციონირებდა.

2018 წელს - საკონსტიტუციო ცვლილებების შესაბამისად, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მსგავსად, პრეზიდენტის სათათბირო ორგანო, ეროვნული უშიშროების საბჭოც გაუქმდა.

უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის სფეროში მაკოორდინირებელი უწყების არსებობის საჭიროების გათვალისწინებით, 2019 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე შეიქმნა ეროვნული უსაფრთხოების საბჭო.

ეროვნული უსაფრთხოების საბჭო ეროვნული უსაფრთხოების საკითხებზე უმაღლესი დონის გადაწყვეტილებების მისაღებად, შექმნილი საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული სათათბირო ორგანოა. საბჭო ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვის სფეროში მთავარ მაკოორდინირებელ ერთეულს წარმოადგენს. მას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს.

ეროვნული უსაფრთხოების საბჭო 2019 წელს შეიქმნა. მისი ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძველი განსაზღვრულია საქართველოს კანონით „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“.

საბჭო უზრუნველყოფს ეროვნული უსაფრთხოებისა და სახელმწიფო ინტერესებისთვის საფრთხის შემცველ საკითხებზე საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინფორმირებას, მის მიერ მისაღები პოლიტიკური გადაწყვეტილებების მომზადებას, სტრატეგიულ დონეზე ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვასა და კოორდინაციას.

საბჭოს ჰყავს მუდმივი და მოწვეული წევრები. საბჭოს მუდმივი წევრები არიან: საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს თავდაცვის მინისტრი, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, საქართველოს ფინანსთა მინისტრი, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი, საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსი და საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაური. საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, საბჭოს სხდომაზე შეიძლება მოწვეულ იქნას საქართველოს პრეზიდენტის მიერ ნომინირებული და მისი ნდობით აღჭურვილი პირი, ან სხვა პირები, რომლებიც საბჭოს მუდმივი წევრები არ არიან.

პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, საბჭოს ერთ-ერთ მუდმივ წევრს, საბჭოს მდივნის მანდატი ეძლევა. საბჭოს მდივანი, საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისას მხოლოდ საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინაშეა ანგარიშვალდებული.

საბჭოს სხდომა, როგორც წესი, 3 თვეში ერთხელ იმართება და მას საქართველოს პრემიერ-მინისტრი უძღვება. სხდომას იწვევს საქართველოს პრემიერ-მინისტრი საკუთარი ინიციატივით ან საბჭოს მუდმივი წევრის მოთხოვნით. საბჭოს სხდომა დახურულია, თუმცა, საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, ის შეიძლება ღიად გამოცხადდეს.

ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატი ახორციელებს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს საქმიანობის საინფორმაციო-ანალიტიკურ და ორგანიზაციულ უზრუნველყოფას. საბჭოს აპარატი არის პოლიტიკურად ნეიტრალური, სახელმწიფო საიდუმლოებისთვის მიკუთვნებულ და სხვა ტიპის ინფორმაციაზე მომუშავე განსაკუთრებული რეჟიმის სამსახური.

აპარატის ძირითადი ფუნქციები:

- **ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს, უშუალოდ მისი მდივნისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის საინფორმაციო-ანალიტიკური უზრუნველყოფა**

ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატი მუდმივ რეჟიმში ამზადებს საინფორმაციო-ანალიტიკური ხასიათის დოკუმენტებს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკას მიკუთვნებულ სფეროებში, როგორებიცაა: სახელმწიფო თავდაცვა, საგარეო უსაფრთხოება, შიდა უსაფრთხოება, სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოება, ეკოლოგიური და ენერგეტიკული უსაფრთხოება, სამოქალაქო უსაფრთხოება, ინფორმაციული უსაფრთხოება და მართლწესრიგი.

- **ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვის კოორდინაციის უზრუნველყოფა**

ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატი, საბჭოსთან არსებული, ეროვნული დონის კონცეპტუალური დოკუმენტების შემუშავების მაკოორდინირებელი მუდმივმოქმედი უწყებათშორისი კომისიის ფარგლებში და შესაბამისი უწყებათშორისი სამუშაო ჯგუფების მეშვეობით, კოორდი-

ნაციას უნევს ეროვნული დონის კონცეპტუალური დოკუმენტების შემუშავებისა და გადახედვის/განახლების პროცესს. ის აფასებს ქვეყნის უსაფრთხოების წინაშე არსებულ რისკებს/გამონვევებს და ერთიანი სამთავრობო მიდგომის გათვალისწინებით, ახორციელებს სხვადასხვა უწყების პოზიციების შეჯერებას.

● სტრატეგიულ (პოლიტიკურ) დონეზე კრიზისული ვითარების მართვის უზრუნველყოფა

საბჭოს აპარატის ფარგლებში, კრიზისული ვითარების მართვის ეროვნული ცენტრი (დეპარტამენტი) ფუნქციონირებს, რომელიც თავის მხრივ, სხვა საკითხებზე მუშაობასთან ერთად, ეროვნული სიტუაციური ოთახის ოპერირებას უზრუნველყოფს. ეროვნული დონის კრიზისული ვითარების შემთხვევაში, პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილების საფუძველზე, საბჭოს აპარატი ეროვნული სიტუაციური ოთახის გააქტიურებას ახორციელებს.

საბჭოს აპარატის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები:

- ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროებში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით, საბჭოს საინფორმაციო-ანალიტიკური უზრუნველყოფა;
- შესაბამისი საფრთხეებისა და გამონვევების იდენტიფიცირება, შეფასება, ანალიზი და პროგნოზირება;
- საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილი ვითარების მონიტორინგი და ანალიზი;
- უსაფრთხოების სფეროში ეროვნული დონის კონცეპტუალური დოკუმენტების შემუშავების პროცესის ორგანიზება და კოორდინირება;
- ინფორმაციის სწრაფი გაცვლისა და მაღალი ხარისხის ანალიტიკური პროდუქტის შექმნის ხელშეწყობის მიზნით, რელევანტურ უწყებებთან ყოველდღიურ რეჟიმში თანამშრომლობა; საბჭოს სხდომებისა და შესაბამისი ოქმების მომზადება;
- საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ, ეროვნული ინტერესებისთვის საფრთხის შემცველი კრიზისული ვითარების მართვის მიზნით, ეროვნული სიტუაციური ოთახის ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- ცალკეულ მიმართულებებზე, კონკრეტული პროექტების კოორდინაცია: ა) კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვის სფეროში რეფორმა; ბ) კიბერუსაფრთხოება; გ) ჰიბრიდულ საფრთხეებთან ბრძოლა; დ) შავი ზღვის უსაფრთხოების კონტექსტში სტრატეგიული ხედვის შემუშავება და შესაბამისი მიმართულების კონკრეტული პროექტების მეშვეობით გაძლიერება.

ქვეყანაში ეროვნული მასშტაბის კრიზისის ეფექტიანი მართვის კოორდინაციის მიზნით, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატში შექმნილია **კრიზისული ვითარების მართვის ეროვნული ცენტრი** (დეპარტამენტი) და მის დაქვემდებარებაში არსებული - **ეროვნული სიტუაციური ოთახი**.

ეროვნული სიტუაციური ოთახი არის თანამედროვე ტექნიკური და ტექნოლოგიური საშუალებებით აღჭურვილი პუნქტი, რომელიც, ეროვნული ინტერესებისთვის საფრთხის შემცველი კრიზისული ვითარების დროს აქტიურდება და საიდანაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი აღნიშნულ ვითარებას მართავს. ცენტრში შექმნილია საერთო სივრცე სხვადასხვა უწყების 100-მდე თანამშრომლის ერთობლივი მუშაობისთვის, რაც მართვის და კოორდინაციის ხარისხს აუმჯობესებს. თანამედროვე აპარატურა ინციდენტების ადგილიდან ინფორმაციის (მათ შორის ვიდეო-აუდიო სიგნალების) ოპერატიულად მიღების და დამუშავების საშუალებას იძლევა. ეროვნულ სიტუაციურ ოთახში მუშაობა კრიზისის ტიპის შესაბამის თემატურ ჯგუფებში მიმდინარეობს.

კრიზისის დროს, ეროვნული სიტუაციური ოთახი ინფორმაციას უწყვეტ რეჟიმში იღებს შესაბამისი სახელმწიფო უწყებებიდან, ქვეყანაში, ბუნებრივი თუ ადამიანური ფაქტორებით (ტექნოგენური) გამონვევული ვითარების შესახებ. ის უზრუნველყოფს შემოსული საინფორმაციო ნაკადის ანალიზს და გადაწყვეტილების მიმღებთათვის შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას. ასევე, მიღებული უმაღლესი პოლიტიკური გადაწყვეტილებების აღსრულების კოორდინაციას. საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილების საფუძველზე, ეროვნული სიტუაციური ოთახით სარგებლობის უფლება, შესაძლებელია, შესაბამის პასუხისმგებელ უწყებებს მიეცეთ.


ეროვნული დონის საგანგებო სიტუაციის (კრიზისის) მართვის სისტემა

საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს ძირითად განვითარებულ ქვეყნებში კრიზისების მართვა ხორციელდება ოპერაციების დაგეგმვისა და მართვის სამდონიანი სისტემით, რაც მოიცავს სტრატეგიულ, ოპერაციულ და ტაქტიკურ დონეებს. სწორედ ამ სქემით მიმდინარეობს NATO-ს წევრი სახელმწიფოებისა და თავად ალიანსის ყველა სახის ოპერაციების მართვა. აღნიშნული მოდელი პრაქტიკულად უნივერსალურია, რადგან მისი მორგება ნებისმიერ ვითარებაზე შესაძლებელია.

კრიზისების მართვის კონცეფციის მიხედვით, ეროვნულ სიტუაციურ ოთახში მოქმედებს მართვის სტრატეგიული და ოპერაციული დონეები, ხოლო უშუალოდ ინციდენტის ადგილზე ხდება ტაქტიკური დონის ორგანიზება.

სტრატეგიული დონე (ოქროს დონე) - ფართომასშტაბიანი კრიზისული სიტუაციის ეფექტიან მართვას უზრუნველყოფს ეროვნული უსაფრთხოების საბჭო - პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით. საბჭოს მუდმივი წევრები (საქართველოს პრემიერ მინისტრი - საბჭოს თავმჯდომარე; ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მდივანი - საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი; საქართველოს თავდაცვის მინისტრი; საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი; საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი, საქართველოს ფინანსთა მინისტრი, საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსი, საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაური) და მოწვეული პირები (საჭიროების შემთხვევაში) აღნიშნულ დონეზე, იღებენ სტრატეგიული ხასიათის გადაწყვეტილებებს, რაც აუცილებელია კრიზისული სიტუაციის მართვისა და სალიკვიდაციო სამუშაოების ეფექტიანი განხორციელებისთვის.

ოპერაციული დონე (ვერცხლის დონე) - სხვადასხვა უწყებების წარმომადგენლებისგან დაკომპლექტებული ანტიკრიზისული სამუშაო ჯგუფი, რომელიც კრიზისული სიტუაციის მართვის კოორდინირებას ახორციელებს. ანტიკრიზისული სამუშაო ჯგუფის უწყებრივი წარმომადგენლობა განისაზღვრება კრიზისის ტიპის შესაბამისად.



ტაქტიკური დონე (ბრინჯაოს დონე) - ერთი ან რამდენიმე უწყების წარმომადგენლებისგან დაკომპლექტებული ჯგუფი, რომელიც უშუალოდ შემთხვევის ადგილზე კრიზისული სიტუაციის მართვას ახორციელებს. ტაქტიკურ ჯგუფს ენიშნება კოორდინატორი (ხელმძღვანელი), რომელიც სამუშაოების სპეციფიკიდან გამომდინარე, წამყვანი უწყების წარმომადგენელია.

ეროვნული სიტუაციური ოთახი 2016 წლის იანვარში, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს ბაზაზე ამოქმედდა. ცენტრი დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის თანადგომით, ბრიტანული მოდელის, ე.წ. „COBR“-ის მიხედვით, ქართული სპეციფიკის გათვალისწინებით შეიქმნა.

დღის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის თანადგომით, ბრიტანული მოდელის, ე.წ. „COBR“-ის მიხედვით, ქართული სპეციფიკის გათვალისწინებით შეიქმნა.

მობილური ცენტრი



კრიზისული სიტუაციის დროს, მაღალი გამავლობის სპეციალური დანიშნულების ავტომობილი შესაძლებელია განთავსებულ იქნას მოვლენის ეპიცენტრში ან მის სიახლოვეს. ავტომობილს გააჩნია როგორც მუდმივი პირდაპირი კავშირი ეროვნულ სიტუაციურ ოთახთან, ისევე დამოუკიდებლად ფუნქციონირების საშუალება. მობილური ცენტრი აღჭურვილია აუცილებელი ტექნიკური და კომუნიკაციის საშუალებებით, მათ შორის დახურული და ღია რადიოკავშირებით. მობილური ცენტრი ეროვნულ სიტუაციურ ოთახს პირდაპირ რეჟიმში აწვდის უპილოტო საფრენი აპარატით გადაღებულ ვიზუალურ მასალას ინციდენტის ადგილიდან.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური არის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების პრევენციის, ერთიანი სისტემის მზადყოფნის, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისა და საგანგებო სიტუაციის ზონაში აღდგენითი სამუშაოების ორგანიზებასა და სამოქალაქო უსაფრთხოების, ამოცანების გადასაწყვეტად სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის განხორციელებას.

საგანგებო სიტუაციების დროს სამსახური არის მთავარი მორეაგირე უწყება, რომელიც კოორდინირებას უწევს ყველა სახელმწიფო უწყების საქმიანობას. ის ფუნქციურად აერთიანებს სახანძრო-სამაშველო სამსახურს. გარდა ამისა, უზრუნველყოფს ქვეყანაში ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიაციულ და ბირთვულ (ქბრბ) უსაფრთხოებას.

დანახებულებებისთვის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და საკანონმდებლო ბაზა

საქართველოს კანონი - სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ.¹

ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოში სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის ორგანიზებას, სამოქალაქო უსაფრთხოების ღონისძიებებს, სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოების, სახელმწიფო რწმუნებულის უფლებამოსილებებს, საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების, აგრეთვე საქართველოს მოქალაქეებისა და საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი სხვა პირების უფლებებსა და მოვალეობებს.

აღნიშნული კანონის გაცნობა მნიშვნელოვანია დანახებულებების ხელმძღვანელებისთვის, რათა ზოგადი წარმოდგენა შეექმნათ ქვეყანაში არსებულ სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის ორგანიზებაზე, სამოქალაქო უსაფრთხოების ღონისძიებებზე და ასევე ამ პროცესში ჩართული სუბიექტების უფლებებსა და მოვალეობებზე.

დოკუმენტი შედგება XII თავისგან:

თავი I - ზოგადი დებულებანი;

თავი II - სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემა, მისი სუბიექტებისა და ფიზიკური პირების ფუნქციები და მოვალეობები;

თავი III - საგანგებო სიტუაციის პრევენცია და მზადყოფნა;

თავი IV - ინციდენტისა და საგანგებო სიტუაციის მართვა;

თავი V - ხანძრის ჩაქრობა, სამაშველო და საავარიო-სამაშველო სამუშაოები;

თავი VI - აღდგენითი სამუშაოები;

თავი VII - სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის და სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების ზედამხედველობა;

თავი VIII - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური;

თავი VIII - სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების შემუშავება;

თავი IX - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში მიღების, მოსამსახურეთა მომზადებისა და გადამზადების და მათ მიერ სამსახურის გავლის წესი;

თავი X - მოსამსახურის სამართლებრივი დაცვა და სოციალური დაცვის გარანტიები;

თავი XI - სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მომსახურების სახეები და მომსახურების განწესა;

თავი XII - გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი.

საქართველოს მთავრობის №508 დადგენილება - სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ აღნიშნული რედაქციით მიღებულ იქნა 2015 წლის 24 სექტემბერს საქართველოს მთავრობის მიერ.²

აღნიშნული დადგენილება მიზნად ისახავს ქვეყანაში საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემის ამოქმედების, აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა რგოლისა და მუნიციპალიტეტების ორგანოების საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში საქმიანობის კოორდინაციის უზრუნველყოფას.

სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმა წარმოადგენს საქართველოს საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემის ძირითად სახელმძღვანელო დოკუმენტს, რომელიც სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში აწესრიგებს ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობას და საზღვრავს:

- საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს, მათ მოცულობას, განხორციელების წესსა და მის შესრულებაზე პასუხისმგებელ ძირითად და დამხმარე სუბიექტებს არსებული ძალებისა და საშუალებების, სოციალურ-ეკონომიკური, ბუნებრივი და სხვა მახასიათებლების გათვალისწინებით;

1 აღნიშნული რედაქციით მიღებულ იქნა 2018 წლის 27 ივნისს. <https://www.matsne.gov.ge/document/view/4243170?publication=6>

2 <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2993918?publication=2>

- საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მისთვის მზადყოფნის, საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის შემთხვევაში მასზე რეაგირებისა და აღდგენითი სამუშაოების წარმართვის წესს.

აღნიშნული დადგენილების გაცნობა მნიშვნელოვანია დაწესებულებების ხელმძღვანელებისთვის, რათა ზოგადი წარმოდგენა შეექმნათ ქვეყანაში მოქმედ საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიან სისტემაზე და ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობაზე.

დოკუმენტი ჯამში შედგება III თავისგან:

თავი I - ზოგადი დებულება;

თავი II - მზადყოფნა;

თავი III - საგანგებო დახმარების ფუნქციები.

საქართველოს მთავრობის №41 დადგენილება - ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე³

აღნიშნული დადგენილება მიზნად ისახავს მინიმალური პირობების შექმნას საზოგადოების ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და საერთო კეთილდღეობის მისაღწევად, რასაც უზრუნველყოფს გასასვლელი საშუალებები, სანიტარიული პირობები, სათანადო განათება და განიავება, შენობაში ხანძრისა და სხვა საფრთხეებისგან სიცოცხლისა და საკუთრების დაცვა, ასევე, მეხანძრე-მაშველებისა და მაშველების უსაფრთხოება საგანგებო ვითარებებისას.

დოკუმენტი შედგება 21 თავისგან:

თავი 1 - რეგულირების საგანი და გამოყენება;

თავი 2 - განმარტებები;

თავი 3 - გამოყენება და დაკავებულობის კლასიფიცირება;

თავი 4 - გამოყენებისა და დაკავებულობის სპეციალური დეტალური მოთხოვნები;

თავი 5 - შენობის ზოგადი სიმაღლე და ფართობი;

თავი 6 - კონსტრუქციის ტიპები;

თავი 7 - ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებები;

თავი 8 - შიგა მოპირკეთება;

თავი 9 - ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემები;

თავი 10 - გასასვლელი საშუალებები;

თავი 11 - მისაწვდომობა;

თავი 12 - შიგა გარემო;

თავი 13 - ენერგოეფექტიანობა;

თავი 14 - გარე კედლები;

თავი 15 - სახურავის ანაწყობები და სახურავზედა ნაგებობები;

თავი 16 - წყალსადენი სისტემები;

თავი 17 - ლიფტები და გადამზიდი სისტემები;

თავი 18 - სპეციალური მშენებლობა;

თავი 19 - საზოგადოებრივ გზებში შეჭრა;

თავი 20 - უსაფრთხოების ზომები მშენებლობის დროს;

თავი 21 - არსებული ნაგებობები.

აღნიშნული დადგენილების გაცნობა მნიშვნელოვანია დაწესებულებების ხელმძღვანელებისთვის, რათა წარმოდგენა შეექმნათ იმ დაწესებულების შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებზე, რომელსაც ხელმძღვანელობენ.

³ აღნიშნული რედაქციით მიღებულ იქნა 2016 წლის 28 იანვარს საქართველოს მთავრობის მიერ. <https://www.matsne.gov.ge/document/view/3176389?publication=14>

საქართველოს მთავრობის N2453 დადგენილება - საგანგებო სიტუაციის რისკის მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ⁴

აღნიშნული დადგენილება განსაზღვრავს საგანგებო სიტუაციის რისკის მართვის გეგმის მომზადების წესებს. რისკის მართვის გეგმის შექმნის მიზანია მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციით გამოწვეული უარყოფითი შედეგების შემცირება.

დოკუმენტი შედგება 15 მუხლისგან:

მუხლი 1 - ზოგადი დებულებები;

მუხლი 2 - საზოგადოების ინფორმირების უზრუნველყოფა;

მუხლი 3 - რისკის მართვის გეგმის შემუშავებისათვის უფლებამოსილი სუბიექტები;

მუხლი 4 - საგანგებო სიტუაციის რისკის სახეები და ხარისხი;

მუხლი 5 - რისკის განსაზღვრა;

მუხლი 6 - რისკის იდენტიფიცირება;

მუხლი 7 - რისკის ანალიზი;

მუხლი 8 - რისკის შეფასება;

მუხლი 9 - საგანგებო სიტუაციის ზეგავლენის შეფასება;

მუხლი 10 - მონყვლადობა და მისი შეფასება;

მუხლი 11 - მედეგობის შეფასება;

მუხლი 12 - რისკის განვითარების სცენარი;

მუხლი 13 - საფრთხისა და რისკის რუკები;

მუხლი 14 - რისკის შემცირება;

მუხლი 15 - რისკის მართვის გეგმა.

აღნიშნული დადგენილების გაცნობა მნიშვნელოვანია დაწესებულებების ხელმძღვანელებისთვის, რომ მათ შეექმნათ წარმოდგენა თუ რა პროცედურებს მოიცავს მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციის რისკის იდენტიფიცირება, ანალიზი და შეფასება, აგრეთვე რისკის მართვის გეგმის მომზადებისათვის აუცილებელი სხვა საკითხები. ამასთან, აღნიშნული დოკუმენტით ისინი გაეცნობიან იმ წესებს, რომლებიც გამოიყენება საგანგებო სიტუაციის პრევენციის, მზადყოფნის, რეაგირებისა და აღდგენითი ღონისძიებების დაგეგმვის ეტაპებზე.

საქართველოს მთავრობის N2452 დადგენილება - საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ⁵

აღნიშნულ დადგენილებაში განსაზღვრულია საგანგებო მართვის გეგმის მომზადების ძირითადი მოთხოვნები და პირობები, რომელთა ცოდნა მნიშვნელოვანია დაწესებულების ხელმძღვანელებისთვის.

დოკუმენტი შედგება 8 მუხლისგან:

მუხლი 1 - ზოგადი დებულებები;

მუხლი 2 - ტერმინთა განმარტება;

მუხლი 3 - გეგმის მომზადების მოთხოვნები;

მუხლი 4 - გეგმის მომზადების ეტაპები;

მუხლი 5 - გეგმის შინაარსი;

მუხლი 6 - საინფორმაციო რუკები;

მუხლი 7 - საგანგებო მართვის გარე გეგმა;

მუხლი 8 - საზოგადოების ინფორმირება.

⁴ აღნიშნული რედაქციით მიღებულ იქნა 2017 წლის 6 ოქტომბერს. <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3824640?publication=0>

⁵ აღნიშნული რედაქციით მიღებულ იქნა 2017 წლის 6 ოქტომბერს <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3824628?publication=0>

„დამტკიცებულია“

დირექტორის მიერ

(ხელმოწეხა)

___/___/2023 წ.

„შეთანხმებულია“

საგანგებო სიტუაციების მართვის
სამსახურთან

(ხელმოწეხა)

___/___/2023 წ.

საგანგებო მართვის გეგმის ნიმუში⁶

ქ. -----

2023 წელი

I ტაპი

1. შესავალი – სახელმძღვანელო საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების ჩამონათვალი, გეგმის მიზანი.

1. (დაწესებულების დასახელება) ტერიტორიაზე ბუნებრივი და ადამიანური ხასიათის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შემუშავებულია „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის, „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის №508 დადგენილებისა და „საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის №452 დადგენილების შესაბამისად.

2. გეგმის მიზანია (დაწესებულების დასახელება) ტერიტორიაზე მყოფი ფიზიკური პირების (პერსონალი, მოსწავლეები, სხვა პირები), განსაკუთრებული/სოციალური დანიშნულების მქონე ობიექტების, ასევე გარემოს, ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორის ხასიათის საგანგებო სიტუაციებისგან დაცვის საერთო ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების წარმართვა. საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილებისა და ამ სიტუაციით გამოწვეული შედეგების შემსუბუქების და ლიკვიდაციის ღონისძიებების უზრუნველყოფა და კოორდინაცია.

⁶ დაწესებულების საგანგებო მართვის გეგმის ნიმუში დანართი #1 სახით თან ერთვის გზამკვლევს. უნდა აღინიშნოს, რომ გეგმა წარმოადგენს მხოლოდ ნიმუშს და მისი პირდაპირი კოპირება გაუმართლებელია. კონკრეტული დაწესებულების საგანგებო მართვის გეგმა უნდა შემუშავდეს შესაბამისი დადგენილებების და ამავდროულად დაწესებულების საჭიროებებისა და რესურსების გათვალისწინებით.

2. იმ თანამდებობის პირთა ჩამონათვალი, რომლებიც პასუხისმგებელი არიან საგანგებო მართვის გეგმის განხორციელებაზე.

საგანგებო მართვის გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირია დაწესებულების დირექტორი, საგანგებო შტაბის უფროსი (სახელი და გვარი).

საგანგებო შტაბის წევრები:

№	საგანგებო შტაბის წევრის პოზიცია	სახელი, გვარი	თანამდებობა	საკონტაქტო ინფორმაცია
საგანგებო შტაბის შემადგენლობა				
1	უფროსი			
2	კავშირგაბმულობასა და შეტყობინებაზე პასუხისმგებელი პირი			
3	უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი			
4	სახანძრო-სამაშველო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი			
5	ევაკუაციის ღონისძიებების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი			
6	მატერიალური და ტექნიკური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირი			

3. საფრთხის წინაშე მდგარი ტერიტორიის, ობიექტის, საცხოვრებელი ან საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობების დახასიათება/აღწერა.

(დაწესებულების დასახელება) მდებარეობს ქ.-----, მისამართი ----- დაწესებულების საერთო ფართობი შეადგენს ----- კვ.მ-ს. დაწესებულება განთავსებულია --- სართულზე. **0** სართულზე განთავსებულია შემდეგი ოთახები: -----.

I სართულზე განთავსებულია შემდეგი ოთახები: -----
II სართულზე განთავსებულია შემდეგი ოთახები: -----
III სართულზე განთავსებულია შემდეგი ოთახები: -----
IV სართულზე განთავსებულია შემდეგი ოთახები: -----
V სართულზე განთავსებულია შემდეგი კაბინეტები: -----.

(დაწესებულების საქმიანობის მოკლე აღწერა)

4. საფრთხის წინაშე მდგარ ტერიტორიაზე/ობიექტზე მყოფი პირების რაოდენობა.

(დაწესებულების დასახელება) საშტატო რაოდენობა შეადგენს ----, მათ შორის --- მამაკაცი და ---- ქალი, ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა შეადგენს ----, მათ შორის --- მამაკაცი და ---- ქალი. დაწესებულებაში შემოსული პირების წლიური საშუალო რაოდენობა შეადგენს -----, მათ შორის: ---% მამაკაცი, ---% ქალი, ---% შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, ---% ბავშვი, ---% პენსიონერი.

5. საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების მართვის შესაბამისი ორგანოს წევრების ფუნქციები (შტაბი).

საგანგებო შტაბი წარმოადგენს (დაწესებულების დასახელება) ოპერატიული მართვის ცენტრს, რომელიც კოორდინაციას უწევს საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილებას და ამ სიტუაციებით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებების გატარების კოორდინაციას.


საგანგებო შტაბის წევრის პოზიცია	ფუნქცია-მოვალეობები
საგანგებო შტაბის შემადგენლობა	
უფროსი	<p>მშვიდობიანობის დროს:</p> <ul style="list-style-type: none"> ● საგანგებო შტაბის შეკრება და სხდომების ორგანიზება; ● საგანგებო მართვის გეგმების მომზადების, განხილვისა და დამტკიცების ორგანიზება; ● საგანგებო მართვის გეგმით განერილი ღონისძიებების განხორციელება; ● მატერიალური საჭიროებების აღრიცხვის და მობილიზების უზრუნველყოფა; ● სტატისტიკის წარმოება; ● წყლის მარაგების/წყლის ალტერნატიული წყაროების მობილიზება.
უფროსი	<p>საგანგებო სიტუაციის დროს:</p> <ul style="list-style-type: none"> ● საგანგებო შტაბის შეკრება და სხდომების ორგანიზება; ● საგანგებო მართვის გეგმით განერილი რეაგირების ღონისძიებების განხორციელების და კოორდინაციის უზრუნველყოფა; ● მატერიალური საჭიროებების მობილიზება; ● სტატისტიკის წარმოება. <p>ხელმძღვანელობს:</p> <ul style="list-style-type: none"> ● საგანგებო შტაბის მოადგილეს; ● შტაბის წევრებს.
კავშირგაბმულობასა და შეტყობინებაზე პასუხისმგებელი პირი	<p>მშვიდობიანობის დროს:</p> <ul style="list-style-type: none"> ● საგანგებო მართვის გეგმის შემუშავებაში მონაწილეობა. <p>საგანგებო სიტუაციის დროს:</p> <ul style="list-style-type: none"> ● შტაბის წევრებისთვის შეტყობინების უზრუნველყოფა და მათი მობილიზება; ● უწყვეტი კავშირის უზრუნველყოფა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურებთან; ● დამატებითი რესურსების მობილიზების უზრუნველყოფა დახმარების მოთხოვნის საფუძველზე. <p>პასუხისმგებელია:</p> <p>საგანგებო შტაბის უფროსთან ან/და მოადგილესთან.</p>

<p>დანესებულების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი</p>	<p>მშვიდობიანობის დროს:</p> <ul style="list-style-type: none"> ● უსაფრთხო ადგილმდებარეობის განსაზღვრა; ● საჭირო ადამიანური, მატერიალური და ტექნიკური საშუალებების განსაზღვრა და მობილიზაცია. <p>საგანგებო სიტუაციის დროს:</p> <ul style="list-style-type: none"> ● დაზარალებულთა ნაკადის ტრანსპორტირების ხელმძღვანელობა; ● საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტა; ● სასმელი წყლის, საკვების, ასევე სამედიცინო მედიკამენტების, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების მარაგების გადანაწილების უზრუნველყოფა. <p>პასუხისმგებელია:</p> <p>საგანგებო შტაბის უფროსთან ან/და მოადგილესთან.</p>
<p>სახანძრო-სამაშველო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი</p>	<p>მშვიდობიანობის დროს:</p> <ul style="list-style-type: none"> ● სახანძრო-სამაშველო ჯგუფის შექმნა; ● სახანძრო-სამაშველო ჯგუფის შემადგენლობის მომზადების დონის უზრუნველყოფა; ● დანესებულების ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით უზრუნველყოფა და მათი გამართულად მუშაობის კონტროლი; ● თეორიული ასევე პრაქტიკული სწავლებების ჩატარების უზრუნველყოფა სახანძრო-სამაშველო ჯგუფისთვის; ● საგანგებო მართვის გეგმით გაწერილი ღონისძებების განხორციელებაში მონაწილეობა. <p>საგანგებო სიტუაციის დროს:</p> <ul style="list-style-type: none"> ● საჭიროების შემთხვევაში სახანძრო-სამაშველო ჯგუფის სწრაფი შეკრების უზრუნველყოფა; ● საგანგებო მართვის გეგმით გაწერილი რეაგირების ღონისძებების განხორციელება. <p>პასუხისმგებელია:</p> <p>საგანგებო შტაბის უფროსთან ან/და მოადგილესთან.</p>

<p>ევაკუაციის ღონისძიებების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი</p>	<p>მშვიდობიანობის დროს:</p> <ul style="list-style-type: none"> ● საგანგებო მართვის გეგმით განერილი ღონისძიებების განხორციელებაში მონაწილეობა; ● ევაკუაციის რაიონი/პუნქტის, მოძრაობის მარშრუტი, ჩასხდომისა და გადმოსხდომის ადგილის წინასწარ განსაზღვრა. <p>საგანგებო სიტუაციის დროს ევაკუაციის გამოცხადების შემთხვევაში:</p> <ul style="list-style-type: none"> ● დაწესებულებაში მყოფი პირებისთვის ევაკუაციის დაწყების თაობაზე დროული შეტყობინების უზრუნველყოფა; ● დანიშნულ დროში დაწესებულებაში მყოფი პირების გამოცხადების ორგანიზების უზრუნველყოფა შემკრებ პუნქტზე, მათი უსაფრთხო ადგილებში გადაყვანის მიზნით; ● ევაკუირებულთა დროული დაბინავების უზრუნველყოფა. <p>პასუხისმგებელია:</p> <p>საგანგებო შტაბის უფროსთან ან/და მოადგილესთან.</p>
<p>მატერიალური და ტექნიკური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირი</p>	<p>მშვიდობიანობის დროს:</p> <ul style="list-style-type: none"> ● საგანგებო მართვის გეგმის შემუშავებაში მონაწილეობა; ● საგანგებო მართვის გეგმით განერილი ღონისძიებების განხორციელებაში მონაწილეობა; ● სპეცალჭურვილობის და ინდივიდუალური თავდაცვის საშუალებების რაოდენობის, მათი შექენისა და შენახვის პირობების განსაზღვრა; ● ავტოტრანსპორტის მობილიზაცია; ● ელექტრო-ტექნიკური, წყლის/კანალიზაციის გამართულობის უზრუნველყოფა. <p>საგანგებო სიტუაციის დროს:</p> <ul style="list-style-type: none"> ● ყველა საჭირო რესურსის მობილიზება. <p>პასუხისმგებელია:</p> <p>საგანგებო შტაბის უფროსთან ან/და მოადგილესთან.</p>

6. საგანგებო სიტუაციის შესახებ შეტყობინების არსებული სისტემის სქემა

- 6.1. საგანგებო სიტუაციის დადგომის შემთხვევაში, შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) საათისა საგანგებო შტაბის ყველა წევრი ვალდებულია გამოცხადდეს დაწესებულებაში.
- 6.2. საგანგებო სიტუაციის გამოცხადების შესახებ საგანგებო შტაბის უფროსის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, კავშირგაბმულობასა და შეტყობინებაზე პასუხისმგებელი პირი უკავშირდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112“-ს და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს ატყობინებს ინციდენტის შესახებ და აწვდის საჭირო ინფორმაციას.
- 6.3. კავშირგაბმულობასა და შეტყობინებაზე პასუხისმგებელი პირი ტელეფონის საშუალებით (სატელეფონო ზარი, ტექსტური შეტყობინება და სხვა) უზრუნველყოფს საგანგებო შტაბის ყველა წევრის მობილიზებას.



7. საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებისათვის საჭირო ტექნიკა-აღჭურვილობა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებები.

საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისათვის (დაწესებულების დასახელება) გააჩნია შემდეგი ტექნიკა-აღჭურვილობა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებები:

ჩამონათვალი	რაოდენობა
რეზინის ჩექმები	
ფანრები	
საწვიმარი ლაბადა	
რესპირატორი (კარტრიჯებით)	
ცეცხლმაქრი	
ხმის გამაძლიერებელი	
სასიგნალო ჟილეთი	
ელ. ბურღი კომპლექტი	
ბრტყელტუჩა, სახრახნისი, ჩაქუჩი	
პირველადი დახმარების ყუთი	
საკაცე	
ცეცხლგამძლე ხელთათმანი	
საგანგებო სიტუაციების ჩანთა	

II ტაპი

1. წყალდიდობებისა და წყალმოვარდნის საფრთხე

1.1. საგანგებო სიტუაციის საფრთხის ანალიზი

წყალდიდობა არის ქარბი ნალექების მოსვლისა და თოვლის სწრაფი დნობის შედეგად მდინარის დონის მკვეთრი გაზრდა და კალაპოტიდან გადმოსვლა, რაც იწვევს მიმდებარე ტერიტორიის მთლიან ან მისი ცალკეული ადგილების მნიშვნელოვან დატბორვას. წყალმოვარდნა არის დიდი ოდენობით წყლის დროებითი ნაკადი, რომელიც უეცრად წარმოიშობა მთის მდინარეების კალაპოტებსა და ველ-დაბლობებში. იგი წარმოიქმნება ხანგრძლივი და უხვი წვიმების, თოვლის ან მყინვარის სწრაფი და ინტენსიური დნობის შედეგად. იგი უეცრად წარმოიშობა და მოძრაობს დიდი სიჩქარით.

საქართველოში 1995 წლამდე ინტენსიური წყალმოვარდნების საშუალო განმეორებადობა 5-6 წელიწადში 1-ჯერ აღინიშნებოდა. 1995-2013 წლებში კი ეს მაჩვენებელი თითქმის 2-ჯერ გაიზარდა. წყალდიდობები და წყალმოვარდნები საქართველოს თითქმის ყველა მდინარისთვისაა დამახასიათებელი. მათ შორის, განსაკუთრებით მაღალი რისკით გამოირჩევა: სამეგრელოს მდინარეთა აუზებიც.

1.2. საგანგებო სიტუაციის რისკის შეფასება

(დაწესებულების დასახელება) მდებარეობს მისამართზე: -----. დაწესებულების საერთო ფართობი შეადგენს ----- კვ.მ-ს და იგი განთავსებულია შენობის ---- სართულზე. დაწესებულების საშტატო რაოდენობა შეადგენს ----. დაწესებულებაში შემოსული პირების წლიური საშუალო რაოდენობა შეადგენს -----, მათ შორის: ---% მამაკაცი, ---% ქალი, ---% შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, ----% ბავშვი, ---% პენსიონერი. თვითდინებით შემოსული პირების წლიური რაოდენობა შეადგენს ---%, მათ შორის: --% მამაკაცი, --% ქალი, ---% შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, --% ბავშვი, ---% პენსიონერი.

გეოგრაფიული ადგილმდებარეობიდან გამომდინარე დაწესებულება მდებარეობს წყალდიდობა-წყალმოვარდნის დაბალი რისკის ზონაში, სადაც წყალდიდობა-წყალმოვარდნის დადგომის ალბათობა არის ძალიან დაბალი, ხოლო შედეგი შესაძლოა იყოს მძიმე დაწესებულების არსიდან გამომდინარე.

#	საფრთხე	ალბათობა	ზეგავლენა	საფრთხის რისკის ზონა
2	წყალდიდობა-წყალმოვარდნა	ძალიან დაბალი	მძიმე	დაბალი

1.3. საგანგებო სიტუაციის სავარაუდო განვითარების სცენარის აღწერა


ქ. ----- 24 საათის განმავლობაში მოსული უხვი ნალექის გატარება უჭირს წყალსადენ სისტემას, იტბორება საცხოვრებელი სახლების და შენობა-ნაგებობების სარდაფები და პირველ სართულებზე შედის წყალი. შესაბამისად ცენტრალურ გზებზე აღინიშნება წყლის შეგუბება, რის შედეგადაც შეფერხებულია მოძრაობა.

დაწესებულება იტბორება. ძირითადი შემოსასვლელიდან და საავარიო გასასვლელიდან შემოედინება დიდი ოდენობის წყალი. გარემოს ეროვნული სააგენტოს პროგნოზის თანახმად აღნიშნული გარემოს პირობები გაგრძელდება კიდევ 24 საათი.

დაწესებულების ადმინისტრაციამ მიიღო შეტყობინება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან, რომ იგეგმება დაწესებულების ევაკუაცია. შესაბამისი მითითება დაწესებულების უფლებამოსლმა პირმაც მიიღო, მითითებით რომ უნდა იქნეს გატარებული უსაფრთხოების ზომები და განხორციელდეს დაწესებულების ევაკუაცია უსაფრთხო ტერიტორიაზე.

2. საგანგებო სიტუაციის რისკის შეფასების მეთოდოლოგია

საგანგებო სიტუაციები, რომლებიც ემუქრება დაწესებულების უსაფრთხოებას იყოფა ორ ნაწილად: ბუნებრივ და ადამიანური ფაქტორით გამოწვეულ საფრთხეებად. მეცნიერული კვლევებისა და დაწესებულებების არსებული რესურსების ფარგლებში დაწესებულების და მის გარშემო მდებარე ტერიტორიების დონეზე კლიმატური მოვლენების და ლანდშაფტული რელიეფის შესახებ ინფორმაციის, ასევე საგანგებო სიტუაციების ქრონოლოგიის და შედეგების დეტალებისა და გამომწვევი მიზეზების საფუძველზე, საგანგებო სიტუაციების რისკის შეფასების მეთოდოლოგია იყენებს რისკების მატრიცის მიდგომას, რომელიც ეფუძნება საფრთხის ალბათობის და ზეგავლენის კომბინაციას. ხუთ (5) ბალიანი სისტემით ფასდება ორივე ფაქტორი: ალბათობაც და შედეგიც.



ალბათობა იზომება 5 ბალიანი შკალის მიხედვით: 1 - ძალიან დაბალი, 2 - დაბალი, 3 - საშუალო, 4 - მაღალი, 5 - ძალიან მაღალი (იხ. ცხრილი №1). ასევე 5 ბალიანი შკალის მიხედვით იზომება შედეგი: 1 - უმნიშვნელო, 2 - საშუალო, 3 - საშუალოდ მძიმე, 4 - მძიმე, 5 - კატასტროფული (იხ. ცხრილი №2). რისკის შედეგი (ზეგავლენა) დაიანგარიშება გარდაცვლილი ან დაშავებული ადამიანების რაოდენობით, გარემოზე ზეგავლენით (წყლის რესურსების დაბინძურება, ფიზიკური ზიანი, შედეგობრივი ზიანი), ეკონომიკური დანაკარგებით (ეკონომიკური საქმიანობის შეფერხება/მოშლა),

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გავლენით და სოციალური ზეგავლენით.

საფრთხის რისკის ზონის განსაზღვრა ხორციელდება ალბათობისა და შედეგის შეჯერებით ქვემოთ მოყვანილი მატრიცის მიხედვით.

რისკის შეფასების მატრიცა

ცხრილი №1				ცხრილი №2		
ქულა	მოსალოდნელი მოხდენის ალბათობა	საგანგებო სიტუაციის		მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციის მოხდენის შედეგი	ქულა	
5	ძალიან მაღალი			კატასტროფული	5	
4	მაღალი			მძიმე	4	
3	საშუალო			საშუალოდ მძიმე	3	
2	დაბალი			საშუალო	2	
1	ძალიან დაბალი			უმნიშვნელო	1	

III თავი

1. საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მიტიგაციის ღონისძიებების აღწერა საგანგებო სიტუაციის განვითარების სცენარის მიხედვით:
 - 1.1. წყალდიდობა-წყალმოვარდნის საფრთხის რისკის პრევენციისა და მიტიგაციის მიზნით ღონისძიებების ორგანიზება სამოქმედო გეგმით (დანართი N2)
2. საგანგებო სიტუაციებზე მზადყოფნის მიზნით ღონისძიებების აღწერა საგანგებო სიტუაციის განვითარების სცენარის მიხედვით:
 - 2.1. წყალდიდობა-წყალმოვარდნის საფრთხისადმი მზადყოფნის უზრუნველყოფის მიზნით, ღონისძიებების ორგანიზება სამოქმედო გეგმით (დანართი N3)
3. საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ღონისძიებების აღწერა საგანგებო სიტუაციის განვითარების სცენარის მიხედვით:
 - 3.1. წყალდიდობა-წყალმოვარდნის შედეგად დამდგარ საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების მიზნით, ღონისძიებების ორგანიზება სამოქმედო გეგმით (დანართი N4)
4. საგანგებო სიტუაციების დადგომის შემდეგ გასატარებელი აღდგენითი სამუშაოებისა და ღონისძიებების აღწერა საგანგებო სიტუაციის განვითარების სცენარის მიხედვით:
 - 4.1. წყალდიდობა-წყალმოვარდნის დადგომის შემდგომ აღდგენითი სამუშაოების/ღონისძიებების გატარების მიზნით სამოქმედო გეგმით (დანართი N5)

№	პრიორიტეტული სფერო	ღონისძიების დასახელება
	წალღიდობა-წალმოვარდნის საფრთხის რისკის პრევენცია	<p>საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის გაცნობის უზრუნველყოფა დაწესებულების საზოგადოებისთვის</p> <p>დაწესებულების საზოგადოებისთვის ევაკუაციის გეგმის ზედმინეწვნიტ გაცნობის უზრუნველყოფა</p> <p>სანიაღვრე არხების მოწყობის და გასუფთავების უზრუნველყოფა</p> <p>ქვიშის ტომრების შექენის უზრუნველყოფა</p>

№	პრიორიტეტული სფერო	ღონისძიების დასახელება
	წალღიდობა-წალმოვარდნის საფრთხისადმი მზადყოფნა	<p>ცნობიერების ამალღების მიზნით, წალღიდობა-წალმოვარდნის საფრთხის თაობაზე ტრენინგების ორგანიზება</p> <p>წალღიდობა-წალმოვარდნის განვიტარების სცენარის მიხედვით წელიწადში მინიმუმ 2-ჯერ სიმულაციური წვრთნების ჩატარება</p>

დანართი №2**სამოქმედო გეგმის ნიმუში**

(საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მიტიგაციის ღონისძიებები)

ღონისძიების განმახორციელებელი ძირითადი ორგანიზაცია/ პასუხისმგებელი პირი	ღონისძიების განმახორციელებელი დამხმარე ორგანიზაცია/ პასუხისმგებელი პირი	განხორციელების ვადები	შენიშვნა
შტაბის უფროსი			
შტაბის უფროსი			
მატერიალური და ტექნიკური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირი			
მატერიალური და ტექნიკური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირი			

დანართი №3**სამოქმედო გეგმის ნიმუში**

(საგანგებო სიტუაციებზე მზადყოფნის ღონისძიებები)

ღონისძიების განმახორციელებელი ძირითადი ორგანიზაცია/ პასუხისმგებელი პირი	ღონისძიების განმახორციელებელი დამხმარე ორგანიზაცია/ პასუხისმგებელი პირი	განხორციელების ვადები	შენიშვნა
შტაბის უფროსი			
შტაბის უფროსი	საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური/დამხმარე ორგანიზაცია		

№	პრიორიტეტული სფერო	ღონისძიების დასახელება
	წყალდიდობა-წყალმოვარდნა	<p>საგანგებო შტაბის წევრების შეკრება და ვითარების გაცნობა</p> <p>საგანგებო შტაბის წევრებისთვის ამოცანების დასმა</p> <p>შესაბამის სახელმწიფო სამსახურებისათვის არსებული ვითარების თაობაზე ინფორმაციის მიწოდების უწყვეტობის უზრუნველყოფა</p> <p>ელექტრო, წყალ და გაზომომარაგების ყველა წყაროს გამორთვის უზრუნველყოფა</p> <p>დაზარალებულებისთვის სამედიცინო დახმარების გაწევა</p> <p>წყლის შეჩერების მიზნით, შესაძლებლობის შემთხვევაში კარფანჯრების ჰერმეტიზაციის უზრუნველყოფა</p> <p>წყლის შეჩერების მიზნით, შესაძლებლობის შემთხვევაში ქვიშის ტომრების განლაგების უზრუნველყოფა</p> <p>შენობაში მყოფი პირების შეკრება ევაკუაციისთვის</p>

№	პრიორიტეტული სფერო	ღონისძიების დასახელება
	წყალდიდობა-წყალმოვარდნის შემდგომ აღდგენითი სამუშაოები/ღონისძიებები	<p>შენობის უსაფრთხოების შემოწმება</p> <p>წყალდიდობა-წყალმოვარდნის შედეგად მოყენებული ზარალის დათვლა</p> <p>აღდგენითი და სარეაბილიტაციო სამუშაოების ორგანიზება</p>

დანართი №4**სამოქმედო გეგმის ნიმუში**

(საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისათვის გასატარებელი ძრითადი ღონისძიებები)

ღონისძიების განმახორციელებელი ძირითადი ორგანიზაცია/ პასუხისმგებელი პირი	ღონისძიების განმახორციელებელი დამხმარე ორგანიზაცია/ პასუხისმგებელი პირი	განხორციელების ვადები	შენიშვნა
შტაბის უფროსი კავშირგაბმულობასა და შეტყობინებაზე პასუხისმგებელი პირი		„სთ“ + 10 წთ	
შტაბის უფროსი		„სთ“ + 5 წთ	
კავშირგაბმულობასა და შეტყობინებაზე პასუხისმგებელი პირი		„სთ“ + 15 წთ	
მატერიალური და ტექნიკური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირი		„სთ“ + 15 წთ	
დანესებულების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი		„სთ“ + 30 წთ	
დანესებულების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი		„სთ“ + 20 წთ	
დანესებულების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი		„სთ“ + 10 წთ	
დანესებულების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი		„სთ“ + 20 წთ	

დანართი №5**სამოქმედო გეგმის ნიმუში**

(საგანგებო სიტუაციების შემდგომ გასატარებელი აღდგენითი სამუშაოები/ღონისძიებები)

ღონისძიების განმახორციელებელი ძირითადი ორგანიზაცია/ პასუხისმგებელი პირი	ღონისძიების განმახორციელებელი დამხმარე ორგანიზაცია/ პასუხისმგებელი პირი	განხორციელების ვადები	შენიშვნა
შტაბის უფროსი დანესებულების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი	საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური	„სთ“ + 50 წთ	
შტაბის უფროსი		„—“	
შტაბის უფროსი		„—“	



eiec.gov.ge



info@eiec.gov.ge



+995 32 2 11 20 23



თბილისი, 0159, მარშალ გელოვანის გამზ. 32გ



გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

